მოსარსარე გამოქვაბული

კლასი VI
კითხვის დონე – 6.1
ტექსტის ტიპი – მხატვრული

ენდრიუ ს. ჯონსონის მოთხრობის მიხედვით

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას და ნუგზარ არჩემაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project
საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

წელს ჩვეულებრივზე უფრო თოვლიანი და ცივი ზამთარი დადგა. საშინლად არ მიყვარს წელიწადის ეს დრო. ჩვენთან ისეთი ადგილები არ არის, თხილამურებით რომ ისრიალო. გუნდაობა კი, რაც არ უნდა გიყვარდეს, ბოლოს მაინც მოსაწყენია... მერე რამდენიმე თვე უნდა იჯდე და ელოდო მთებზე თოვლის დადნობას, მდინარეებში წყლის მომატებას და მინდვრების ამწვანებას. მხოლოდ მაშინ იწყება დაუსრულებელი თავგადასავლები, მთაში ხეტიალი, პიკნიკები...

ერთ თოვლიან საღამოს მე და ჩემი და, ანა, ბუხრის წინ ვისხედით და „ქალაქობანას“ ვთამაშობდით. მამა იქვე სავარძელში იჯდა, წიგნს კითხულობდა. დედა ვახშამს ამზადებდა სამზარეულოში.

– ქალაქი „კ“-ზე? – ვკითხე ანას.

– კაპადოკია! – სწრაფად მიპასუხა მან.

– კაპადოკია ქალაქი არ არის, ისტორიული ოლქია! – არ დავუთმე.

– არა, ქალაქია და იქ კლდეში ბევრი მონასტერია გამოკვეთილი, სკოლაში მითხრეს! ხომ ასეა, მამა?

მამამ წიგნი გვერდზე გადადო, სათვალე მოიხსნა და ანას ღიმილით უთხრა:

– ანა, დათო მართალია. კაპადოკია ქალაქი არ არის... მართლა, მაგაზე გამახსენდა, აქ, ჩვენს მთებშიც არის კლდეში ნაკვეთი მონასტერი. ძალიან ლამაზია.

– შენ გინახავს? მოგვიყვები? ზაფხულში წაგვიყვან? – სეტყვასავით მიაყარა ანამ.

მამამ გაიღიმა და მოყოლა დაიწყო:

– როცა პატარა ვიყავი, პაპასთან ერთად სოკოზე დავდიოდი მთის ძირში, ჩვენი სახლის უკან. ერთხელ ბევრი ვიარეთ, მაგრამ ერთი სოკოც კი ვერ ვიპოვეთ. ამიტომ მთის ფერდობს შევუყევით. სულ მალე რაღაც უცნაური შევნიშნე...

– რა? – ერთდროულად წამოვიძახეთ ჩვენ.

მამამ შეისვენა და გადმოგვხედა. მერე კითხვაზე კითხვით გვიპასუხა:

– გინახავთ მთებში შავი კლდე რომ არის, შორიდან საჩეჩელს რომ ჰგავს?

ზუსტად ვიცოდი, რასაც გულისხმობდა მამა. ბევრჯერ დამინახავს შორიდან, როცა მას ვენახში ვეხმარებოდი. მაგრამ მთის იმ ნაწილში არასოდეს ვყოფილვარ – ციცაბო იყო, დამრეცი ფერდობებით და მოყანყალე ლოდებით. ბავშვებს იქ არ გვიშვებდნენ.

– კი, მინახავს, – ვთქვი მე.

– კლდეში დავინახე გამოქვაბულის შესასვლელი, რომელიც მზის შუქზე ოქროსფრად ბრწყინავდა, – გააგრძელა მოყოლა.

– რატომ ბრწყინავდა ოქროსფრად? – იკითხა ანამ.

მამამ ისევ გაიღიმა და გვკითხა:

– გაგიგიათ, ბერები მონასტრებს ზოგჯერ მთაში რომ აშენებენ?

ორივემ თავი დავუქნიეთ.

– როდესაც გამოქვაბულს მივუახლოვდი და შიგ შევედი, ისეთი რამ დავინახე, არც კი დაიჯერებთ. ეს იყო მონასტერი ოქროსფერი კედლებითა და ისეთი ლამაზი მხატვრობით, რომელსაც ვერც კი წარმოვიდგენდი. ტა-

ძარში ძველი საკურთხეველიც იდგა. ყველაფერი მტვრით იყო დაფარული. ეტყობა მრავალი წლის მანძილზე იქ ფეხი არავის დაედგა.

– მონასტერი ისევ იმ მთაშია? – იკითხა ანამ.

მამამ გაიცინა და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

– დარწმუნებული ვარ, ისევ იქ იქნება, მაგრამ გამოქვაბულის შესასვლელი შეიძლება ჩამოინგრა. მას შემდეგ მრავალმა წელმა გაიარა...

– ვახშამი მზად არის! – სამზარეულოდან გამოგვძახა დედამ.

– წავედით, ბავშვებო, ვივახშმოთ.

ყველა სამზარეულოსკენ გავეშურეთ. შავი, საჩეჩლის მსგავსი კლდე და ოქროსფერი გამოქვაბული იმ დღის შემდეგ აღარ გვიხსენებია. თუმცა სულ მასზე ვფიქრობდი და ძალიან მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა.

გავიდა რამდენიმე კვირა და ზამთარიც ნელ-ნელა მიილია. გაზაფხულის ერთ მზიან დღეს ჩემს მეგობარ ნიკას შევხვდი და მისტიკური გამოქვაბულის შესახებ ვუამბე, თან წამოსვლაც შევთავაზე. ასეთ სახიფათო მოგზაურობას მარტო ვერ გავბედავდი, კიდევ ვიღაც მჭირდებოდა.

– არ ვიცი. მთის ეგ ნაწილი ძალიან ციცაბოა, – მითხრა ნიკამ.

– არა, არ არის ციცაბო, – შევეპასუხე მე.

– როგორ არა! ჩემს ბიძაშვილს სწორედ მაგ ადგილას აუსხლტა ფეხი ქვაზე და დაეცა.

გამეცინა.

– ნიკა, შენს ბიძაშვილს თუ რამე შეემთხვა, შენც აუცილებლად შეგემთხვევა? ახალი ადგილის შესწავლა და მონასტრის საგანძურის ნახვა არ გინდა?

– ძალიან მინდა, მაგრამ დათვი რომ შეგვხვდეს?

ნიკამ იცოდა, რომ დათვის ძალიან მეშინია, თუმცა, რომ მკითხოთ, არ ვამხელ. ერთხელ, პატარა ვიყავი და მამასთან ერთად მთის ძირას ფიჩხს ვაგროვებდი. მოულოდნელად რუხი დათვი წამოგვადგა თავზე. ძლივს გამოვასწარით. სწორედ მაშინ შემეშინდა.

– კარგი რა! რაღა ახლა შეგვხვდება? საუკუნეა, აღარავის უნახავს! – სიცილით ვუპასუხე, თუმცა მაინც უსიამოვნოდ გამკრა გულში.

როგორც იქნა, ნიკა დავითანხმე, მთაში გამომყოლოდა. გადავწყვიტეთ, მეორე დილით მზის ამოსვლამდე შევხვედროდით ერთმანეთს თხილის ხესთან, ჩვენი ეზოს ბოლოში და ადრიანად გავდგომოდით გზას.

– წყალი წამოიღე ბლომად და საგზალი. ფანარიც არ დაგავიწყდეს, – გავძახე ნიკას, ვიდრე თვალს მიეფარებოდა.

იმ ღამეს ყველასგან მალულად დავიწყე წასასვლელად მზადება. თუმცა ანამ მაინც დამინახა, როგორ ვახვევდი ქაღალდში პურს.

– რას აკეთებ? – მკითხა მან და ჩემს საძინებელში შემოვიდა.

– წადი აქედან! – შევუბღვირე. როგორ არ მიყვარს, როცა ჩემს საქმეში ერევა!

– საჭმელს რატომ ალაგებ? სად მიდიხარ? – დაჟინებით ჩამეძია ანა.

თქვენ არ იცით, რა აუტანელია. თუ რამე ამოიჩემა, ტკიპასავით აგეკვრება და ვეღარ მოიშორებ. ვიცოდი, თუ არ ვუპასუხებდი, არ მომეშვებოდა.

– გეტყვი, მაგრამ შემპირდი, რომ დედას და მამას არ ეტყვი, – ჩუმად ვუთხარი.

არ მინდოდა, მშობლებს გაეგოთ ჩემი გეგმის შესახებ, განსაკუთრებით – დედას. ის წასვლის ნებას არ მომცემდა, რადგან ფიქრობს, რომ მთაში ხეტიალი საშიშია. მამას არ უყვარს, როცა მის გარეშე დავდივარ უცხო ადგილებში. ამ კვირაში მუშაობს, ვერ გამომყვებოდა. მე კი გადადება არ მინდოდა. ისედაც ზამთრის აქეთ ველოდი ამ დღეს.

– ხვალ, განთიადისას, მე და ნიკა იმ გამოქვაბულის საძებნელად მივდივართ, მამამ რომ გვიამბო. გახსოვს?

– მეც მინდა წამოსვლა!

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

– არა, – მოკლედ მოვუჭერი.

– რატომ?

– გამორიცხულია, ანა. საშიშია. ახლა გგონია, რომ შეძლებ, მაგრამ პატარა ხარ და კლდეზე ცოცვაც არ იცი.

– გეშლება! ვიცი!

– უჰ, უჰ, იცის, – ჩავიქირქილე. – მე უკვე გითხარი, ვერ წაგიყვან. ახლა კი წადი, დაიძინე. გვიანია.

ანამ გაბრაზებით გამომხედა და ოთახიდან გავიდა.

საგზალი მოვიმზადე და საწოლში ჩავწექი. ფანჯრიდან მთვარის შუქზე კარგად მოჩანდა მთის სილუეტი, რომელიც თითქოს თავისკენ მიხმობდა.

მეორე დილით, უთენია, მე და ნიკა ერთმანეთს თხილის ხესთან შევხვდით. ცოტა ადრე მივედი და ლოდინი მომიწია.

– მეგონა შეგეშინდებოდა და აღარ მოხვიდოდი, – სიცილით ვუთხარი, როცა, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა.

– წავედით. დროზე უნდა დავბრუნდეთ. სახლში საქმეები მაქვს, – სწრაფად მიპასუხა და ბილიკს გაუყვა.

ტყეში შევედით. ჯერ კიდევ ადრე გაზაფხული იყო, მაგრამ ხეები უკვე ყვაოდა და მათ კენწეროებზე ჩიტები ჟღურტულებდნენ. ხეებს შორის მზის სხივები ვერ აღწევდა, ამიტომ საკმაოდ გრილოდა. რამდენიმე მეტრიც არ გვექნებოდა გავლილი, რომ ნიკამ ქვას ფეხი წამოჰკრა და სახით ტყის ხავსიან მიწაზე დაეცა.

მე უკმაყოფილოდ გადავაქნიე თავი:

– მთასთან რომ მივალთ, ცოტა უფრო ყურადღებით უნდა იყო.

ნიკას არაფერი უთქვამს. გზა გავაგრძელეთ. ამასობაში კარგად გათენდა. ბილიკი ციცაბო და ქვიანი გახდა, ხეები კი დაწვრილდა. ტყიდან რომ გავედით, საკმაოდ დათბა. სავალი გზის ყველაზე სახიფათო მონაკვეთს მივუახლოვდით და წყლის დასალევად შევჩერდით. წინ გველოდა ლოდებიანი აღმართი, რომელიც საჩეჩლის ფორმის კლდით მთავრდებოდა. იქ კი, სადღაც, როგორც მამამ თქვა, გამოქვაბულის შესასვლელი უნდა ყოფილიყო.

– გესმის რამე? – მკითხა ნიკამ მოულოდნელად.

– კი, რაღაც გავიგონე. რისი ხმა იყო?

უკან გავიხედეთ, საიდანაც ხმა მოდიოდა, მაგრამ ლოდებისა და ხეების მეტი ვერაფერი დავინახეთ.

– ხმა იქიდან მოისმა, – თქვა ნიკამ და ხელი ფიჭვის ხის მახლობლად დიდი ლოდისკენ გაიშვირა.

– ალბათ ირემია, ან – მელა, – ვთქვი მე. მერე წყალი ძირს დავდგი და ლოდის მიმართულებით ქვა ვისროლე, ცხოველი რომ შემეშინებინა, მაგრამ იქ არაფერი შერხეულა.

შემდეგ ნიკამ ისროლა ქვა, მეც მივაყოლე. ცოტა ხანში ლოდს ქვები სეტყვასავით დავაყარეთ. უცებ ადამიანის ყვირილი მოგვესმა.

– გეყოფათ, გეყოფათ! – იძახდა ვიღაც.

შევჩერდით და მივაშტერდით ლოდს, საიდანაც პატარა გამხდარი გოგონა გამოვიდა. სახეზე ხელები აეფარებინა.

– აუ, ეს ხომ შენი დაა! – წამოიძახა ნიკამ და სიცილი აუტყდა. – ბიჭო, მართლა შენი დაა. კი მაგრამ, როგორ გამოგვყვა?

ძალიან გავბრაზდი. ფერდობზე ჩავირბინე და ლოდთან შევჩერდი.

– აქ რას აკეთებ? ხომ გითხარი, დარჩი-მეთქი! – კატეგორიული ტონით ვკითხე ანას.

– დილით გავიგე, როგორ გადიოდი სახლიდან. ვერ მოვითმინე, ისე მინდოდა მონასტრის ნახვა. ავდექი და გამოგყევით. გპირდები, ხელს არ შეგიშლით, – მიპასუხა მან.

– ხელს არ შეგვიშლი? რომ დაეცე და რამე იტკინო? ვერ ხედავ, რა საშიში ბილიკი გვაქვს გასავლელი?

ნიკაც ქვემოთ ჩამოვიდა.

– ჩვენთან ერთად უნდა მთის წვერზე ასვლა. შენ რას ფიქრობ? – ვკითხე ნიკას.

ნიკამ ანას გაუცინა:

– ვაღიარებ, რომ აქამდე მოსვლა დიდი ვაჟკაცობაა. მაგრამ უფრო ზევით წამოსვლა სიგიჟეა შენისთანა პატარა გოგოსთვის. დაეცემი და რამეს იტკენ. მერე მთიდან სახლამდე მთელი გზა ჩვენ უნდა გათრიოთ.

– დავეცემი? შენ რომ ტყეში დაეცი, მეც ისე დავეცემი? – გამომწვევი სახით შეეპასუხა ანა.

ნიკამ ვეღარაფერი უთხრა. დარცხვენილი და გაბრაზებული იდგა ერთ ადგილას. ისევ მე უნდა მეთქვა რამე.

– ანა, ნიკა მართალია. გზა ძალიან საშიშია. შენ აქ დარჩი, ამ დიდ ლოდზე დაჯექი და დაგველოდე. ჩვენ მალე დავბრუნდებით.

ნიკა მთის ბილიკს გაუყვა. მეც უკან მივყევი, ანა კი ლოდთან დავტოვეთ. ფერდობიდან ერთხელ კიდევ ჩამოვხედე. ისევ ისე გაუნძრევლად იდგა და შორს იყურებოდა.

– დიდი უცნაური ვინმეა შენი და, – მითხრა ნიკამ ცოტა ხნის შემდეგ. – რატომ გამოგვყვა?

– გოგოებს რას გაუგებ.

ფერდობის წვერს მშვიდობიანად მივაღწიეთ და გამოქვაბულის შესასვლელის ძებნა დავიწყეთ. მალე ვიპოვე კიდეც.

– ნიკა, ნიკა! – გავძახე ხმამაღლა.

ნიკამ მოირბინა და ორივენი გაოცებულნი შევყურებდით მოცახცახე ოქროსფერ სხივებს, რომლებზეც მამა მოგვითხრობდა.

– რა საოცრებაა, ასეთს ვერც წარმოვიდგენდი! – წამოვიძახე მე.

ნიკა ენაჩავარდნილი იდგა.

– რას ველოდებით? არ შევიდეთ? – როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

გამოქვაბულში სიგრილე იყო და ბნელოდა. ფანრები ავანთეთ და მონასტერი დავათვალიერეთ. საკურთხეველი კვლავ ხელუხლებლად იდგა მტვრის სქელი ფენით დაფარული, როგორც მამამ გვითხრა. კედლები ლამაზად იყო მოხატული და ოქროსფრად ელვარებდა ფანრის შუქზე. საინტერესოა, როგორ მოხდა, რომ ასეთი ლამაზი მონასტერი დავიწყებას მიეცა. არადა ჩვენი ოჯახის გარდა კიდევ რამდენმა ადამიანმა იცოდა მის შესახებ.

– დათო, ნახე! – ნიკამ მონასტრის მოპირდაპირე მხარეს შენიშნა დერეფანი, რომელიც მთის სიღრმეში შედიოდა. – შევიდეთ?

წინ ნიკა მიდიოდა. უკან მე მივყვებოდი.

დერეფნის ჭერი საკმაოდ დაბალი იყო, ამიტომ ხოხვით შევედით. მის ორივე მხარეს რამდენიმე კარი გადიოდა.

– რისთვის იყო ეს ოთახები? – ჩურჩულით იკითხა ნიკამ. მოგვეჩვენა, რომ მონასტერში ვიღაც იყო და ჩურჩულზე გადავედით.

მე ერთ-ერთ ოთახში შევედი და ფანარი მივანათე. ბერების სენაკს ჰგავდა. კუთხეში დანგრეული ხის საწოლი შემორჩენილიყო. ნიკამ ზედ ჩამოჯდომა მოინდომა, მაგრამ საწოლის ჩარჩო გატკაცუნდა. მთელმა მონასტერმა საშინელი ექო გამოსცა.

– ფრთხილად! – გავუჯავრდი მე.

უცებ შემოგვესმა ხმაური, რომელიც გამოქვაბულის სიღრმიდან მოდიოდა. დაბალი, ბურდღუნის მსგავსი ხმა იყო, უფრო ღმუილს წააგავდა.

– ე... ე... ე... ეს რა არის? – ძლივს ამოვილუღლუღე.

ნიკამ მიაყურადა. სიჩუმე იდგა. ღმუილი კვლავ გაისმა, ოღონდ ადრინდელზე უფრო ხმამაღლა.

– დათვია? – ჩავიჩურჩულე მე.

– შშშ! – გამაჩუმა ნიკამ. ოთახიდან გავიდა და ფანრით დერეფანი გაანათა. – აქ არაფერია. შორიდან ისმის.

ღმუილი მესამედაც გაისმა. ის უფრო და უფრო ახლოვდებოდა და თანდათან ძლიერდებოდა.

მე ხელი ამიკანკალდა, ფარანი დამივარდა და ჩაქრა. ასაღებად დავიხარე, მაგრამ ბატარეა გამოვარდნილიყო და სადღაც ოთახში ეგდო. მის ძებნაში იატაკი ლამის ხელებით მოვხვეტე.

– ნიკა, მომეხმარე!

– იქნებ ძებნას თავი დაანებო, – ჩურჩულით მითხრა ნიკამ. – შეგვიძლია ჩემი ფანრით ვისარგებლოთ, ცოტას ხომ მაინც გაანათებს. ოღონდ აქედან უნდა გავიდეთ. თან რაც შეიძლება ჩქარა. ალბათ დათვს ზამთრის ძილი დავუფრთხეთ.

შიშისგან მუცელი ამიწრიალდა. ნიკას ფანარი სუსტად ანათებდა. მასთან უფრო ახლოს მივედი და ფეხაკრეფით გავწიეთ მონასტრის გასასვლელისკენ. დერეფნის ბოლოს ნიკა შეჩერდა.

– ჩემი წყალი სად არის? – იკითხა მან. – ალბათ იმ ოთახში დამრჩა.

– ნუ ჩერდები! – ჩავჩურჩულე მე. – რა დროს წყალია?

– წყალი კიდევ გაქვს? დაგვჭირდება, – მითხრა მან.

ველარ მოვითმინე და ნიკას მკლავზე მოვქაჩე.

– რა დროს წყალია! მიდი, მიდი, იარე. ნუ ჩერდები!

უცებ უკნიდან ხმამაღალი მსხვრევის ხმა მოგვესმა, ნიკას საწოლის ჩარჩო რომ ჩაუტყდა, იმის მსგავსი. მსხვრევის ხმას მოჰყვა საშინელი ბღავილი, რომლის ექომაც მონასტრის კედლები შეაზანზარა.

თავქუდმოგლეჯილი გავიქეცით. სიჩქარეში ნიკამ თავისი ფანარი შემთხვევით კედელს მიარტყა და ისიც ჩაქრა. სრულ წყვდიადში აღმოვჩნდით. მხოლოდ ვიწრო სინათლის ზოლი შემოდიოდა მონასტრის შესასვლელიდან. სინათლის მიმართულებით გავქანდით. ერთმანეთს ზედ ვახტებოდით. ვგრძნობდი, რომ დათვი სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა. ისე მეშინოდა, საკუთარი გულისცემის ხმაც კი მესმოდა.

გამოქვაბულიდან დამდუღრულებივით გამოვცვივ-
დით. გარშემო ყველაფერი კაშკაშებდა. მზის სინათლემ
თვალი მოგვჭრა და ცოტა ხანს ვერაფერს ვხედავდით.
მალე იქვე დიდი ლოდი დავინახე.

– აქეთ, ნიკა! – წამოვიძახე მე.

ლოდისკენ გავიქეცით და აცახცახებულები ამოვეფა-
რეთ.

– მართლა დათვი იყო?

– არ ვიცი...

გვინდოდა უკან მიგვეხედა, მაგრამ ვერ ვბედავდით,
ძალიან შეშინებულები ვიყავით.

უცებ მოგვეჩვენა, რომ გამოქვაბული დაგვცინოდა.
ჯერ წყნარი ქირქილი დაიწყო, შემდეგ კი ხარხარში გა-
დაიზარდა.

– ეს რა გამოქვაბულია? – იკითხა ნიკამ.

როგორც იქნა გავბედეთ, საფარიდან გამოვედით და
შესასვლელს შევხედეთ. გამოქვაბულიდან ანა გამოდიო-
და, თან ხმამაღლა იცინოდა. დაგვინახა თუ არა, გაჩერდა
და მთელი ძალით დაიღრიალა. გამოქვაბულის გარეთ
ექომ მისი ხმა ვეღარ გააძლიერა. ანას ბღავილი საერთოდ
არ ჰგავდა დათვისას.

გამოქვაბული არც ღრიალებდა, არც ხარხარებდა, სუ-
ლაც არა. ეს ანა იყო. არანაირი დათვი, არანაირი მოხარ-
ხარე გამოქვაბული, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი უმცროსი
და ანა...

კარგად აღარ მახსოვს, რას ვაკეთებდი. ერთი კი არის,
შიშმა მთლიანად გამიარა. ჯერ გავბრაზდი, მერე გა-
მიხარდა, მერე ისევ გავბრაზდი და ბოლოს მეც ავხარხარ-
დი. ნიკაც იცინოდა.

მთავარია, რომ დათვი არ აღმოჩნდა!

ანა ნელ-ნელა მოგვიახლოვდა. მინდოდა, მისთვის რაღაც მწარედ მეთქვა, მაგრამ უცებ ვერაფერი მოვიფიქრე. ვიდრე რამეს ვიტყოდი, ნიკამ საათს დახედა და თქვა:

– აუ, რამდენი დრო გასულა! უკვე გვიანია. სახლში უნდა დავბრუნდე. რას იტყვით, ხვალ ისევ რომ წამოვიდეთ და გამოქვაბული უფრო კარგად დავათვალიეროთ?

– მე თანახმა ვარ! – ვთქვი უცებ. ოღონდ ახლა ნუ შემაბრუნებდი უკან, თორემ ისე გამოქვაბულის გულდასმით ნახვა ძალიან მინდოდა.

– მეც მოვდივარ! – წამოიძახა ანამ.

ორივემ შევუბღვირეთ. ანა სასაცილოდ დაგვეჯღანა:

– ძალიან გთხოვთ!.. თან გამოქვაბულამდე მოკლე გზა ვიცი. წელან ვიპოვე.

– კარგი, კარგი.

– მეც მოვდივარ! უჩემოდ აპირებთ გამოქვაბულის ნახვას? – მოულოდნელად მოისმა მამას ხმა.

სამივემ მივიხედეთ. ბილიკზე მამა ამოდიოდა. ეტყობოდა, სწრაფად ევლო. დაღლილობისგან სახე სულ ასწითლებოდა.

– გმადლობ, ანა, მინიშნებისთვის! – უთხრა მამამ ანას ღიმილით და ყვითელი ჟაკეტი უჩვენა. – ხევში დაგრჩენია, წყაროსთან. დავინახე თუ არა, მაშინვე მივხვდი, სად უნდა მომეძებნეთ. მართალია, ცოტა გვიან გნახეთ, მაგრამ არა უშავს. მთავარია, უვნებლები ხართ.

– უი, ჩემი ჟაკეტი! არც შემიმჩნევია, როდის დამივარდა. – ანამ მოსაცმელი სიცილით გამოართვა მამას.

არაფერი მითქვამს, ან რა უნდა მეთქვა?

აი, ასეა. თუ შენც გყავს უმცროსი და, გეცოდინება, რა ძნელია მასთან ურთიერთობა. ახლა ანასთან ჩხუბს აზრი არ ჰქონდა. სიმართლე გითხრათ, რაღაცნაირად გამიხარდა კიდეც, მამა ჩვენთან რომ იყო და, რაც მთავარია, ხვალ საინტერესო დღე გველოდა: მამასთან ერთად საგულდაგულოდ დავათვალიერებდით „მოხარხარე“ გამოქვაბულს. იქნებ განძიც გვეპოვა?